№ 41 24 თებერვალი, შაბათი 1866—1879 24 თებერვალი, შაბათი № 41

დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бароѣ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ლირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ ცალ-ცალეროთი—5 კაპ., პატარა ასოთი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲐᲛ. ᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ Ბ. ᲨᲐᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ 7 ᲛᲐᲜ.

ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურღი, 22 თებერვალს. დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი გუშინ—წინ, 20 თებერვალს, წაბრძანდა აქედამ კავკასიაში.

ბრაფ ლორის-მელიქოვის ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ შეტლიანკაში მომკედარა ერთი ბავში ფილტვების ანთებისა და მუცელისაგან; ის გასჭრეს ავსტრიის და ჩვენ ექიმებმა.

ბუშინ ინგლისის ადრინდელი ელჩი ლოფტუსი გამოეთხოვა ხელმწიფე იმპერატორსა და იმპერატრიცას.

ბაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ ტირნოვოდამ იწერებიან, რომ ოსმალებმა 120 სული ამოჭრეს მაკედონიაშიო.

პარიჟი, 21 თებერვალს. მაჭრობის მინისტრად დაინიშნა ტირარი.

ლონდონი, 22 თებერვალს. რიო-ჟანეიროდამ დაბრუნდნენ უკან რუსეთში 519 რუსის ემიგრანტი.

ტაშკენტი, 21 თებერვალს. შირ-ალის სიკვდილის შემდეგ მაზარი-შერიფში მოხდა შეტაკება ავღანის ტახტის მოცილეებს შუა; რამდენიმე კაცი დასჭრეს და მოკლეს; იაკუბ-ხანმა გაიმარჯვა.

პეტერბურღი, 23 თებერვალს. ნემეცის პროფესორმა ლოვენმა, რომელიც გუშინ მოვიდა აქ ბერლინიდამ, გაშინჯა ავათმყოფი პროკოფიევი და დარწმუნდა, რომ იმას სიფილისი არა აქვს, არამედ გადამდები სენით არის ავათ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲤᲣᲐᲚᲘ ᲨᲘᲠ-ᲐᲚᲘ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡ, ᲔᲛᲘᲠᲘ.

Sic transit gloria mundi!

(ᲛᲔᲒᲠᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ)

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲢᲐᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲘᲠ-ᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲕᲐᲚᲐᲝ: ᲛᲘᲡᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲘᲐᲙᲣᲑ-ᲮᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲓᲔᲡᲚᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲚᲝ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲨᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲛᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲡᲢᲝᲚᲔᲢᲝᲕᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜ.

ᲐᲛ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲨᲣᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲣᲨᲚᲘᲡᲠᲐᲝ, ᲗᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲛᲑᲐ ᲨᲐᲑᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲬᲐᲕᲔᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲠᲐᲖᲒᲝᲜᲝᲕᲛᲐ ᲓᲐᲐᲒᲓᲝ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲢᲐᲮᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲡ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲣᲚ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲗᲘᲗᲒᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲨᲣᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ ᲛᲝᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲣᲛᲚᲔᲚᲘ ᲛᲣᲧᲣᲓᲠᲝᲔᲑᲐ.....

ᲫᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲘᲐᲜ; ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲢᲐᲠᲝᲡᲘ ᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐᲜ; ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲘᲛᲔᲓᲝᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲜᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲛᲫᲔ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲐᲭᲔᲠᲡ, ᲬᲕᲘᲛᲐ-ᲥᲣᲮᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐᲝ...

„ᲐᲠᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ.“

ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲘᲠ-ᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲛᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ. ᲨᲔᲛᲗᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲢᲧᲣᲑᲔᲑᲘ ᲘᲧᲝᲜ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲮᲚᲝ ᲫᲐᲠᲚᲕᲘᲗ ᲘᲧᲝᲜ ᲨᲔᲑᲛᲣᲚᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ:

ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲢᲧᲣᲑᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲪ ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲗ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ; ᲐᲜ ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ, ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲢᲧᲣᲑᲘ ᲓᲠᲝᲪ ᲗᲐᲜ ᲒᲐᲭᲧᲕᲔᲑᲐ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡ ᲔᲛᲘᲠᲘ ᲨᲘᲠ-ᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲜᲗᲥᲐᲠᲘ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘᲪ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲓᲠᲝᲘᲡᲘᲗᲘᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲔᲡ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲗᲐᲜ. 1850 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ; ᲐᲛᲓᲠᲝᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲤᲔᲗᲐ ᲛᲢᲐᲠᲔᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲑᲝᲠᲙᲕᲐ, ᲘᲛᲘᲗᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲛᲜᲔᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲐ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲓᲠᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡ-ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲝᲛᲘ; ᲐᲛ ᲝᲛᲛᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲧᲠᲐᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲘᲜᲔᲡ, ᲞᲐᲠᲘᲥᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ: ᲔᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲒᲠᲓᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ, თუნდ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ, ᲣᲠᲘᲐ ᲘᲧᲝᲡ, თუნდ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲯᲣᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ; ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲛᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲡ ᲬᲔᲡᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘᲧᲝᲗ; ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ; ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘ ᲛᲔᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲮᲐᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲔᲡ; ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲗ ᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲥᲘᲠᲝᲡᲝᲗ. ᲗᲣ ᲕᲘᲜᲘᲪᲝᲑᲐᲐ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ, 1855 ᲬᲚᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲚᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲚᲚᲣᲖᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲨᲘᲠ-ᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲓ ᲓᲝᲡᲢ-ᲛᲐᲰᲛᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ: ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲕᲐ-

ლე ვართ ვიყვეთ მეგობარი ინგლისის სახელმწიფოს მეგობრებისა და მტერი მტერთა მისთა.

ამის-და-სამაგიეროთ ინგლისს უნდა ეძლია შემწეობა აღლანის მფლობელებისათვის ფულით და განათლებით; უნდა გამოეწყო ევროპულათ აღლანის ჯარი და ევროპიული განათლება უნდა შეეტანა იმის ქვეყნებში. თუ ამ პირობას გადახდებოდა აღლანის ხელმწიფე, მაშინ არც აღლანს და არც იმის მმირს კარგი დღე არ დაადგებოდა.

ამის შემდეგ გადიოდა წლები, აღმოსავლეთის ხალხები ოსმანლები და აღლანელები ჯერ კიდევ იმდენათ არ იყვენ მომზადებული, რომ ძველი ამაოთ-მორწმუნების კანი გამოეცვალათ და ევროპის განათლებას შესდგომოდენ. თუმცა ხვანთქარი და მმირი ქალალდზე პირობებს სდებდენ, აწ ევროპის წარჩინებულის სახელმწიფოების აზრისამებრ მოიქცევითო, მაგრამ ნამდვილათ არც იმდენი მხნეობა ჰქონდათ და არც იმდენი ჭკუა, რომ თავგანწირულათ ახალ დროის მოთხოვნილებას შესდგომოდენ. ისინი სულით და ხორცით კიდევ ძველს დესპოტებს ეკუთვნოდენ. იძათ გაიცვნეს მხოლოდ განათლების გარეგანი მხარე, ფუფნეული, ბრწყინვალე ცხოვრება. სულთან აბდულ-აზიზმა მალე მიიძინა განცხრომაში და ხალხის ცხოვრების გამაუმჯობესებელი წესების შემოღება მიაიწყდა.

1870 წელს ევროპაში დიდი ცვლილება მოხდა. საფრანგეთი გერმანიამ დაამარცხა და დასცა. დარჩა ინგლისი უამხანაგოთ; რუსეთის პოლიტიკა გაძლიერდა აღმოსავლეთში. ეს რომ სულთან აბდულ-აზიზმა და ემირმა შირ-ალიმ დაინახეს, პარიჟის ხელ-შეკრულობის ქალალდი სულთანმა უკან მოიდვა და რუსეთს დაუახლოვდა, როგორც სულთანი, ისე ემირიცა. მაშინ გამოიდვა თავი ინგლისმა და ინგლისის ლომმა დაილრიალა.

პარიჟის ხელ-შეკრულობა დაირღვა. აზიის ორი დიდი ხელმწიფე განზე გადგენ. ამ დროს ევროპას უნდა გამოეღო ხელი, რადგან იმის გავლენას აზიაში საძირკველი ეთხრებოდა.

მართლაც, გამოვიდა ინგლისი მოქმედების ასპარეზზე; დადგა 1875 წელიწადი.

ბოსტანტინოპოლში რუსეთის ელჩი იგნატიევი შეიქნა ყოვლად-შემძლებელი. ის დრო იყო, რომ ბოსტანტინოპოლში რუსეთის ჯარი აპირებდა შესვლას სულთანის აბდულ-აზიზის მეუფობის დასაცვველად აღელვებულ ხალხისაგან. თვითონ სულთანიც აპირებდა რუსეთის ძლიერის ხელმწიფობის ქვეშ თავის შეფარებას. ის იყო, კრიჭაც მოსულიყო...

მაგრამ ამ დროს გასწყდა ის ბედითი ძაფი, რომელზედაც იყო დამოკლესის ხმალი ჩამოკიდებული, დაეცა ხმალი თავზე სულთან აბდულ-აზიზს... ხვანთქარი ჩამოაგდეს ტახტიდან, და მეორე კვირას მაგრატლით კისრის ძარღვებ დაჭრილი იდვა ის კუბოში თავის დიდებულს სასახლეში. ბევრი ამტკიცებს, ვითომც სულთანს თავის ხელით გამოეჭრას ყელი. უფრო გამოცდილები ამბობენ, რომ ინგლისის ელჩის ელლიოტის ბასრმა მაგრატელმა მოუღო სიცოცხლეო უდიდებულეს აზიის მფლობელს.

მაშინვე გაისმა ხალხში ძახილი: „ოსმალოს ძველი დროც გათავდა! ბოლოს აღმოსავლეთმაც გამოიცვალა კანი ახალ ცხოვრებისთვისო და უკეთესის თავისუფალის პოლიტიკურის დაწყობილებისათვისო!..

ბავიდ- ამის შემდეგ სამი წელიწადი და რუსეთის ელჩი უფ. სტოლეტოვი შევიდა აღლანის სატახტო ქალაქში ქაბულში. ამაზე კიდევ უფრო აიკოჩა ინგლისის: ლომი „შირ-ალიმ დაარღვიაო ძველი ხელ - შეკრულობა“, ო—გაისმა მთელს ინგლისში და ინდოეთში. ინგლისმა გაგზავნა შარშან ფიცხელი წერილი შირ-ალისთან და თან მრისხანე საელჩოც გაადევნა ლორდის ჩემბერლენის თაოსნობით.

შირ-ალიმ ალიმუსიდის მთის გასავალში წინ შეახვედრა ინგლისის ელჩს და იმის ჯარს, ორი ათასს კაცს, თავისი ციხის დარაჯები და უთხრა: ტყუილათ ნუ მობრძანდებით, ვერ შემოგიშვებთო...

ბარისხდა ინგლისი, გამოუცხადა ომი აღლანის ეპირს შირ-ალის, აგლიჯა სახელმწიფოს ბჭენი აღლანს, დაიჭირა მთის გასავლები ბოლანისა და ალიმუსიდისა; შირ-ალის ჯარი გაფანტა, თვითონ ემირი ქვეყნიდან განაძევა, მისცა იმის შვილს იაკუბ-ხანს ემირობა და ინგლისი ახლა აპირებს ამ იაკუბ-ხანთან უწინდელის ხელშეკრულების ისევ აღდგენას. შირ-ალი წავიდა ტაშკენტისაკენ და წინ წაიძღოლა რუსეთის ელჩები; მაგრამ შირ-ალის გზაზე მოუსწრო სიკვდილმა.

ამბობენ, ფეხის ტკივილით მოკვდაო; სხვანი კი ჩურჩულობენ: „ვაი, თუ ამასაც ინგლისის ბასრმა მაკრატელმა დასჭრა სიცოცხლის ძარღვებიო: „მოკვდა საწყალი შირ-ალი და თან წაიღო მოუბრუნებლათ ძველი დესპოტობის დროცაო“.

ამიერითგან აღლანსაც დაუდგა ევროპის განათლების დღე. ყოველ მხრით მოგვდის ქვეყნის მშვიდობიანობის ამბავი. მაგრამ მარტი ახლოა, მზე ერთობ აჭერს. ვაი თუ წვიმა-ქუხილი კიდევ განგვიახლდეს...

ბ. წერეთელი

ლღიური

*** ჩვენ რედაქციას გარდა დამშეულ ქობულეთელთათვის ხელის-მოწერა გამართა აგრეთვე „სასოფლო ბაზეთის“ რედაქციამაც, რომელმანც ამ მიზნით მიმართა სოფლის ხალხს ცალკე სტატიით დაბეჭდილით ხსენებული გაზეთის უკანასკნელს მესამე ნომერში.

*** ზოგიერთი შემწირველები გვკითხავენ—თუ რა საშვალებით ვაპირებთ ჩვენ იმ ფულების დარიგებას, რომელსაც გაჭირებულ ქობულეთელებისათვის ვაგროვებთ, ხომ ჩინოვნიკებს არ ჩაუვარდება ხელში, პირ-და-პირ მიეცემა თუ, ვისთვისაც არის ეს შეწირულობა დანიშნული, თუ არაო.

ამაზედ უნდა მოვახსენოთ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ერთი კაპეიკიც არ დაიკარგება ისე, რომ თავის დანიშნულებას არ მიაღწიოს. ბათუმის მაზრაში ისეთი პატიოსანი და ადგილობრივი გარემოებისა და ხალხის გაჭირების მცოდნე კაცი გვყავს ჩვენ, როგორც თ. ბრ. ბურიელი, რომელიც, უეჭველია, სინდისიანათ დაარიგებს ამ ფულს და ვისაც ნამდვილად ეჭირება, სწორეთ იმას მისცემს შემწეობას. ჩვენ გვინდა ამას გაუგზავნოთ ეს ფული. და თუ ბლომათ მოგროვდა (ათას მანეთამდინ მაინც), მაშინ შეიძლება ერთი ვინმე სანდო პირი გავგზავნოთ იქ და იმის საშუალებით დაურიგოთ გაჭირებულ ხალხსა ფული და ანპური და ტანთსაცმელი.

*** წელს, 1 ივნისს, სულ ცხრამეტი მოწაფე-ქალი ათავებს კურსს „ქალთა სასწავლებელ-ალექსანდრეს“ ინსტიტუტში. ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს ახლა, რომ ამ წლის კანდიდატებად ვისაც ჰსურს ჩაიწეროს, რომ სახელმწიფო ხარჯით მიიღონ, ამ თებერვლის 28-მდინ უნდა წარადგინონ თხოვნა და ყველა საჭირო დოკუმენტებიო. მინც ამ ვადის შემდეგ შეიტანენ თხოვნას, ისინი მომავალი 1880 წლის კანდიდატებად ჩაიხატებიან.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ გასულ კვირას, 18 ამ თვისას, დიდი ხალხი შეკრებილა ანჩისხატის სობოროში, რომ მოისმინონ ქართული წირვა და გალობა; მაგრამ ამ დღეს მგალობლები წმ. სამების ეკლესიაში ყოფილან დანიშნული. ამ კვირას კი, 25-ს, ქართული მგალობლები ისევ ანჩის-ხატის ეკლესიაში იგალობებენ.

*** ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო ამას წინათ მოხსენებული, სასულიერო სემინარიის ზედამხედველი მთვრალი იყოო, როდესაც თავის მოვალეობას ასრულებდაო. ეს საქმე სასულიერო სემინარიაში კი არ მომხდარა, არამედ ბუკიის სასულიერო სასწავლებელში და შაგირდები წაუყვანია ალექსანდრე ნევსკის ეკკლესიაში. დანარჩენი გარემოება სრულებით ნამდვილია.

*** ბახეთიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქითკენ ისეთი თბილი დღეებიაო, რომ ნუში, ალუბალი, ტყემალი და ქლიავი თითქმის ჰყვავისო და ამის გამო წელს ბახეთში უხილობას მოელიანო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 10 თებერვალს. ძრიელ მოსისხლეთ ვექცევით აქაურ კორრესპონდენტებს, ვინც უნდა იყოს: მღვდელი თუ ერი, ქართველი, რუსი თუ სომეხი. ჩვენი ერთი ტერტერა იმიტომ გვეჯავ-

რება, რომ მახათს დაგვაგებს ხოლმე თვალებში „მეღუში“ ან „მშაკში“. მეც ბევრჯელ მიფშვნეტია მუშტები ცემის ქინისაგან კორრესპონდენტზე. მაგრამ ახლა კი უნდა გავტყდე, კორრესპონდენტი ჩვენი სინათლე ყოფილა, ჩვენი ერთგული მეგობარი, გონიერი და დამჯდარი მრჩეველი ყოფილა, ჩვენი სიბრიყვის და სისულელობის მჩვენებელი.

აქაური დეპუტატები კორრესპონდენტებს „აკრაკებათ“ უწოდებენ და აქაიქით აბეზღებენ; მაგრამ დეპუტატებს დაეჯერებათ რამე! მაგათ დაეჯერებათ ან სულ გამობენტერებული, ჭკვაზე შემცდარი, ან მაგათზე გადაცილებული.

თუ ასე არ იყოს, რა უბედურობაა, ბატონო, ქალაქში გზა არა გვაქვს რიგიანათ გავიაროთ, არ შეგვიძლიან ცხენით ხიდზე გავიაროთ. მოგახსენოთ რა ხიდია: ფიჩხისა მასთან მსუნაგი და გაუმაძღარი. რამთონი ამოავსებენ, იმდენათ უფრო ძირს იწევს, კიდევ ჩამაყარეთო. სწორეთ ჩვენს დეპუტატებს დამსგავსებია: ერთი მშიერი დეპუტატი გვყავს, შინ ლუკმა არ აბადია, კატა შეინახოს, მაგრამ ყოველ ცისმარე დღეს გაყირმიზებული დაბძანდება; ჩვენებურ ტანისამოს ხომ აღარ კადრულობს, ბატონო, ფრანგული შლიაპებით დაიარება. და მასთან უყურე რა სადილებსა მართავს და რა ღვინოებს ამოალაგებს ხოლმე, რა ნაირათ გადააკვრევინებს ხოლმე, ვინც საჭიროა მისთვის. საიდამ? რით? სიღნაღს განა არ შეუძლიან ერთი კაცი შეინახოს! მაინც ფარნებზე არა ზრუნავს, მაინც სიკეთეს არაფერსა ფიქრობს და ბარემ ერთმა კაცმა შეჭამოს. ახია ჩვენთვის, რათ გვინდა ამისთანა კაცი დეპუტატათ!

ამ წელს ვინა ჩივის, მეორე წელსაც ისევ ისინი დარჩებიან, სადილებს იმიტომ მართვენ, რომ ხალხი მიიმხრონ; ბევრია ჩვენში იმისთანა, რომ ერთ სტაქან არაყზე თავის სინიდისს გაჰყიდის და მთელ საზოგადოებას შეარცხვენს.

შენდა მოგახსენოთ, მეც კი ვისურვე ამ დეპუტატების ამორჩევა, რადგან მთხოვეს და დამპატიჟეს; მაგრამ მოგახსენოთ რაზე გაუწყერი: აბა კლუბი და მე ვინ გაიგონა, სადა ქნილა, რა ჩემი საქმეა კლუბი, ტანცი-მანცი, მე—უბრალო სომეხს—ტრაქტირიც მეყოფოდა. ჩემი საქმეა—წითელი ღვინო და ლურჯი ცხენი. მაგრამ ერთ სადილზე ამიტყდნენ, აღარ მომეშვენ, ექვსი მანეთი გამომართვეს და ჩამწერეს კლუბში. ეხლა თავისუფლათ დავდივარ კლუბში; მეგონა მარტო ჩინოვნიკები დაიარებიან-მეთქი, მაგრამ ჩემზე უარესებიც ბევრნი არიან.

ბუშინწინ მეუბნებიან, შენი ნათესავი ქალი წამოიყვანე კლუბში, ვიღაცა მდიდარი ბ ა ლ ა-ბეგია ქალებსა შინჯავს, უმზითვოთ მიჰყავსო. აბა ჩემ ნათესავ ქალს ვიღაცა გათათრებული სომეხი არ ეჭირება და რას წავიყვანდი; მეკი წაველ საყურებლათ. ცოტა გვიანაც შეველ და რა ვნახე:

რაც სიღნაღში ქალები ყოფილან, თურმე სულ იქ არ დაჯოგილან: ბრალიანი და უბრალო, კარგი და ავი, მდიდარი და ღარიბი ერთმანეთში არეული იყო. ზოგს კაბის-ძველა არა აქვს, აქ კი ისე მოპრანჭულები იყვნენ, როგორც გაზაფხულის მაჟალო. პირი-სახე გეგონებოდათ კალატოზს გაულესნიაო. სულ ყველანი სიძეს, საზოგადო, საერთო, სასიღნაღო სიძეს შეყურებდნენ, ყველა ცდილობდა მოსწონებოდა რითმე, რითმე მიეზიდნა იმისი თვალები. სიძე გახლავთ მაღალი, ტანადი, რუმბის მსგავსი, გაჯინული, თავი კატისტოლა, მუცელი არყის ქვაბისა, რჯულით ნუხური სომეხი, სახელათ ბ ა ლ ა. მართლა რომ კარგი ბალა და ხათა გაუხადა სიღნაღელებს, ქალებს და დედ-მამას.

სიღნაღელებმა ძრიელ დიდი ცერემონია გაუწიეს ამ ნუხელ ბალას: ყველამ თავისი ქალები მოართვეს: რომელიც გნებავდეს, ამოარჩიე, ყველანი შენ გენაცვლებიან ეგენიო. ბალამაც თავი მოიწონა, აუარა და ჩაუარა გახურებულ ინდოურივით ამ აყვავებულ, ათას-ფრათ აჭრელებულ სიღნაღელ ქალებს: ხან წინადამ მიუდგა, ხან უკანიდამ მოექცა და თავ-მოწონებით დასცქეროდა. შენდა გენახათ რა სურათი იყო და! მე რომ ჩემი ნათესავი იქა მყოლოდა, მაშინათვე გამოვიყვანდი და ამოტელა სირცხვილს კი არ მივაყენებდი. მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, არავინ არ შეიძრა, ქალების პატრონებს თავიც მოსწონდათ: ბალა ჩვენ ქალებს შინჯავსო.

საუბედუროთ, ამ ბალამ ბოლოს ცხვირი აიტრუკა, არავინ არ მომწონსო, მადლობელი არა ვარო და გასწია ნუხისკენ! დედ-მამებს, იმ დედ-მამებს, რომლის ქალები იმ ღამეს კლუბში წაიყვანეს, ყბა ღია და თვალები დაჭყეტით დარჩათ.

აბა, დადგებიან ახლა და კორრესპონდენტებს დაუწყობენ ლანძღვას..

სომეხი

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო!

ბოხოვთ მისცეთ ცოტაოდენი ალაგი თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ორიოდე სიტყვას, რომელნიც არიან გამოწვეულნი თქვენი შენიშვნით მე-12 №-ის „დღიურში“.

ჩვენი ახალგაზდა მოსწავლენი მაღალ სასწავლებლებში რუსეთშია თუ სამზღვარს გარეთ გაჭივრებულ მდგომარეობაში არიან. ზოგნი მათგანი, შეუძლებლობის გამო იძულებულნი, დაბრუნდნენ კიდეც თავ-თავის სახლში, განსაკუთრებით სამზღვარს გარეთიდგან.

ეს ყველასთვის აშკარაა. ამაზედ ხშირათ ყოფილა ლაპარაკი და ნაწერიც, თუ არ ეცდებით, „დროებაშიაც“. ნუ თუ საჭიროა გამოცხადება თითოეულ პირისა, მისი ალიან-ჩალიანი, მეცადინეობა? იქნება უნდა იყოს გამოცხადებული მისი ხასიათიც და დროს გატარება?!

არა, „თუ გული-გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა.“ საზოგადოებას რომ მართლა გული ეწოდეს თავის მამულის შვილებზედ, თავის იმედზედ და მომავალზედ, ის კი არ მოუცდიდა ამ დროს, როცა ახალგაზდობა დაუწყებდა მას ორიტინს და ხვეწნას: „აბიქა,—შენი-ჯიბიმ, მიშველე, ხელი მომიმართეო!“ ის არ მოუცდიდა მისი კაცობრიობის ღირსების დამცირებას. მართალია, თქვენ ამბობთ „იმედია, ახალგაზდები არავითარ სათაკილო და თავის თავმოყვარეობისათვის დასამცირებელ რასმე არ დაინახვენ ამ დახმარებაში“; მაგრამ ეს სათაკილოცაა ყმარწვილ კაცისათვის და თავმოყვარეობის დამამცირებელიც. ხვეწნა, ღრიტინი: შენი ჭირიმე დამეხმარეო, ყოველ შემთხვევაში სამძიმოა და განსაკუთრებით ახალგაზდა კაცისათვის. ამ იარაღს კაცი ძრიელ გაჭირებულ მდგომარეობაში თუ იხმარს, როგორც წყალისგან მიმქონი, ცეცხლ-მოდებული, ან სასიკვდილოთ გამზადებული, ესე იგი მაშინ, როდესაც არც აზრი მუშაობს და არც ნება-მყოფლობაა.

და მის მაგიერ რომ საზოგადოებამ როგორმე შეუმსუბუქოს ახალგაზდებს ეს სამძიმო გრძნობა, თხოულობს ანგარიშს თითქმის ყოველ მათ ნაბიჯში. ამისთანა პირობაზედ არა თუ არც ერთი ახალგაზდა არ დათანახმდება, მგონია არც მიიღოს ამ ნაირათ შეკრებილი ფული (ამ ნაირი შემთხვევა ბარე ორიოდე კიდეც ვიცი). სანამ საზოგადოება არ გაიგებს ცხადათ თავის სარგებლობას ახალგაზდა კაცის ხელის წამართვაში, სანამ ის არ შეადგენს რიგიანს და ხეირიანს წრეს და ფონდს, რომლის მიზანი ამნაირი დახმარება იყოს, მანამ ამ მიზნისთვის ფულის შეკრება ეთანასწორება წაღლეტას, გამონავედრებ ლუკმა-პურს. აპა, რა ინტერესი აქვთ ბრუთინას ანუ ზოგია ცენტერაძეს ჩვენ აღზრდაში! ესმით რამე მათ ამ საქმეში? მათ უნდა ევედროთ, ეღრიტინოთ, რომ ხელი მოგიწეროთ!

მე როგორც მახსოვს, ჩვენი ბანკების დაარსების დროს იყო ეს აზრი—ახალგაზდების დახმარება. რა იქნა ეს აზრი? ბაქარწყლდა?

კ. დარკველი

(1) 13 თებერ. 79 წ.

—სულ ტყუილ-უბრალოდ ცხარობს უფ. კ. დარკველი. ჩვენი შენიშვნის ჰაზრი ის იყო, რომ რუსეთში და სამზღვარგარეთ მოსწავლე ჩვენმა ახალგაზდობამ აცნობოს საზოგადოებას თავის მდგომარეობა და საჭიროება-მეთქი. ჩვენ არ ვთხოულობდით არც ახალგაზდების ხასიათის გამოცხადებასა და არც იმას-თუ როგორ ატარებს ის დროს, როგორი ცხვირი აქვს, როგორი პალტო აცვია და სხვ. შენიშვნაში ეწერა იცოდეს ქვეყანამ თავის ახილგაზდობის მდგომარეობა და, თუ ვისმე რაიმე გაჭირება აქვს, შეიძლება ან ხელის-მოწერით, ან თეატრისა ან ლიტერატურული საღამოს და ან სხვა ამგვარ საშუალებით დაეხმაროს იმას. „კაცობრიული ღირსების დამცირება“ არ იქნება ახალგაზდობისა ამგვარის დახმარების მიღებაში; არ იქნება ერთი იმიტომ რომ საზოგადოება მოწყალებას

კიარ იძლევა, ის ზნეობით ვალდებულია თავის სამშობლოს მომავალ შვილების აღზრდაზე იზრუნოს, და მეორე იმიტომ, რომ ახალგაზდები, რომელნიც ამგვარ დახმარებას მიიღებენ საზოგადოებისაგან, უეჭველია, ერთი-ორად ერთი-სამად გადაუხდიან საზოგადოებას თავის ვალს. ამას გარდა, მართალია, სასიამოვნო არ არის მუდამ ჩიჩინი. მუდამ გაძახილი საზოგადოებაში, რომ ჩვენი ახალგაზდები გაჭირებული არიან, დახმარება ეჭირებათ, ჯიბეში ხელი ჩაიყავითო და სხვ. მაგრამ რას იქთ, როდესაც ჩვენი საზოგადოება ჯერ ისეთი საზოგადოებაა, რომლისთვის ერთი თქმა საკმაო არ არის, რომელსაც მუდამ ჩიჩინი ეჭირება და მუდამ გახსენება, რომ ის მოვალეა თავის სამშობლოს მომავალს დედა-ბურჯს დაეხმაროს..

რედ.

განცხადებანი

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**— თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) —შედგენილი ბ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ გატაბნიშვილთ**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალი მული და მაშენიკები**— კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება**— — — 25—

17) **„ბუტიაობა“** ოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი** — — — — 30 —

20) **მგზავანი**—ლექსები— 20 —

21) **ანუკა გატაბნიშვილი** 20 |

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, клубის ქვეშ.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. ქოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში. **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

ბამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

(5—4)

ბამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაობა“

ოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ბართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაეერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

(5—5)

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ბართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ბოსტავასდუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75
ფოჩტა		
ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბ) ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში		**კაპ.**
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნის		4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .		8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 23 თებერვ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	30
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერეკვანისა, ფუთი .	7	40
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი	6	70
—თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გრივ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	90
თამბაქო, ხაშურული ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

მრევლის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. ბ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Февраля 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.